დამტკიცებულია:

ბრძანება N2/024, 18 ივლისი, 2022 წელი

დირექტორი: მ. დეკანოიძე

Marine Dekanoidze 01001026195

Digitally signed by Marine Dekanoidze
Date: 2024.08.30 10:46:18

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის სკოლა

2023-2029 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

თბილისი, 2022 წელი

პრეამბულა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის სკოლის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული შინაარსის დოკუმენტს, რომელიც ასახვს სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარების გრძელვადიან მიზნებს და მის მისაღწევად შესაბამის ამოცანებს.

სკოლა სტრატეგიული დაგეგმარებისას ეყრდნობა სკოლის ფილოსოფიას, გარე და შიგა ფაქტორების SWOT ანალიზს, სკოლის თვითშეფასებას და სასკოლო საზოგადოების მისწრაფებებს და ინტერესებს.

სტრატეგიული დაგეგმვა მიზნად ისახავს სკოლის რესურსების ეფექტურად გამოყენებას და სკოლის განვითარებას მისი ხედვის და მისიის შესაბამისად.

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სკოლა ახდენს საკუთარი რესურსების მობილიზებას, საჭროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსების მოზიდვას და ეფექტურად გამოყენებას. სტრატეგია ხელს უწყობს სკოლის მიზნების მიღწევის თეორიულად და თანმიმდევრულად დაგეგმვას. ამასთანავე, გეგმაზე მუშაობის პროცესი ქმნის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის კარგ პრაქტიკას, ახდენს კონკრეტულ მიზნებზე და ამოცანებზე მათ ერთობლივად ფოკუსირებას და აუმჯობესებს კოორდინაციას, რაც ეხმარება სკოლას დასახული მიზნების მიღწევაში.

სკოლის მისის, ხედვა, ღირებულებები

მისია

ჯი-ელ-სის სკოლის მისიაა, აღზარდოს საკუთარი შესაძლებლობების გააზრების, თვითშემეცნებისა და თვითრეალიზების უნარების მქონე ახალგაზრდები, რომლებიც მომზადებულნი იქნებიან, როგორც საქართველოს და მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებისათვის, ისე – შემდგომი წარმატებული ცხოვრებისა და პროფესიული მოღვაწეობისათვის.

ხედვა

ჯი-ელ-სის სკოლის ხედვაა, ქართული და გერმანული განათლების ძირითადი პრინციპების შერწყმით შექმნას განათლების ისეთი საავტორო მოდელი, რომლის საშუალებითაც თანამედროვე ახალგაზრდა შეძლებს დაეუფლოს 21-ე საუკუნეში საჭირო ყველა უნარს და საგნობრივ კომპეტენციას, სკოლის კურიკულუმის ფარგლებში

შეძლებს დაიკმაყოფილოს და განივითაროს პიროვნული მისწრაფებები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სპორტი, ხელოვნება, თანამედროვე ტექნოლოგიები, სამოქალაქო აქტივობა, ლიდერობა, ინდივიდებსა და ჯგუფებთან კომუნიკაცია.

ღირებულებები

კეთილგანწყობილი გარემო, სადაც წახალისებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინიციატივა, საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, ემპათია, ურთიერთპატივისცემა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა;

ცოდნასა და განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, რომელიც უზრუნველყოფს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების დახვეწა-გაუმჯობესებას, არგუმენტირებული მსჯელობის, სიახლეების ძიების, პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის უნარების გამომუშავებას;

ინკლუზიური და ტოლერანტული გარემო, სადაც დაფასებულია ადამიანის ინდივიდუალური ნიშან-თვისებები და განსხვავებულობა, დაგმობილია პიროვნებისადმი უპატივცემულო და ღირსების შემლახველი მოპყრობა, სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა, ბულინგი;

ჯანსაღი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დაბალანსებულ პროგრამას (აკადემიური და კლასგარეშე აქტივობები, სპორტი, დასვენება და კვება), რომლის ფარგლებშიც მოსწავლე მიიღებს სიღრმისეულ განათლებას სტრესისგან თავისუფალ გარემოში და შეინარჩუნებს ბავშვობისათვის დამახასიათებელ სილაღეს და თავისუფლებას.

ინფორმაცია სკოლის შესახებ

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სის სკოლა, როგორც კერძო საგანმანათლებლო სტრუქტურა, დაარსდა 1995 წელს თბილისის მრავალპროფილიანი სკოლა-ლიცეუმის სახით, ხოლო 2009 წლიდან ის იწოდება შპს საწართველოს სასწავლო ცენტრად და აერთიანებს თბილისის სკოლას და ამ სკოლის ზუგდიდის განყოფილებას, რომელიც მთლიანად თბილისის სკოლის პროგრამული და მატერიალური უზრუნველყოფითა და ზედამხედველობით ფუნქციონირებს.

საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი–ელ–სის მუშაობის 29 წლიანი გამოცდილება აქვს. დაარსების დღიდან სკოლა მაღალი რეპუტაციით სარგებლობს მშობლებსა და მოსწავლეებს შორის, რაც ემყარება სასწავლო და საგანმანათლებლო მუშაობის სპეციფიკას, კერძოდ:

- სკოლაში არსებულ დისციპლინას და კომფორტულ პირობებს;
- უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს;

- სწავლების თანმიმდევრულად მდგრად ხარისხს, რაც დასტურდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებით, სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მაღალი მაჩვენებლებით;
- გერმანული ენის სადიპლომო DSD პროგრამას და მის მაღალ შედეგებს;
- Toefl სასერტიფკატო პროგრამას ინგლისური ენის გაძლიერებული სკოლის სტატუსის ფარგლებში;
- სწავლებისა და აღზრდის საქმეში მრავალმხრივი და ინოვაციური მეთოდების გამოყენებას, საინტერესო ექსტრაკულიკურალურ საქმიანობას;
- მშობლების ჩართულობას სკოლის საქმიანობაში – მოზარდის განვითარების ინდივიდუალური ტრაექტორიის შემუშავებისას, სასკოლო ღონისძიებების ჩატარებისას, სასკოლო ცხოვრებაში წარმოქმნილი სხვადასხვა სიძნელეების ერთობლივი მოგვარებისას და ამ სიძნელეების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული საპროფილაქტიკო ღობისძიებების ჩატარებისას.

მშობელითა და მოსწავლეთა აზრი სკოლის მუშაობის ხარისხისა და ზოგადად, კერძო სკოლის არსებობის განმსაზღვრელი კრიტერიუმია. ორგანიზაციის კონტიგენტის ოდენობა საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესში ჩართულ პირებთან რეგულარური კონტაქტისა და შესაბამისად წარმოქმნილ სიძნელლებთან დაკავშირებით დროული რეაგირებისა.

სკოლას აქვს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის ყველა საჭირო რესურსი, შესაბამისი, მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საგანმანათლებლო–სააღმზრდელო პროგრამები, სკოლა სასწავლო პროცესის მართვისთვის 2020 -21 სასწავლო წლიდან იყენებს ელექტრონულ პლატფორმას schoolbook, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის დისტანციური ან შერეული ფორმის დროს პლატფორმას microsoft teams.

სკოლა მისი არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლებას ემსახურება არა მარტო სკოლის ფარგლებში. წლების მანძილზე სკოლა ESM-თბილისის საბაზო და კონტინგენტის მიმწოდებელ სკოლას წარმოადგენდა და მასთან ერთად ატარებდა კონკურსს - „ლიდერი“, რომელშიც ყოველწლიურად ათი ათასობით მოსწავლე იღებდა მონაწილეობას საქართველოს ყველა რეგიონიდან. ეს კონკურსი კარგი მოტივატორი იყო მოსწავლეთათვის, მისი ფინალური ტური კი ცოდნის ნამდვილი ზეიმი.

კერძო სკოლისადმი ზოგადი დამოკიდებულების სიჯანსაღეზე ზრუნვა და ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა სკოლის მთავარი პრიორიტეტი იყო წლების მანძილზე, რადგანაც მიგვაჩნდა, რომ კერძო სკოლების არსებობა არის რეალური არჩევანის თავისუფლება საგანმანათლებლო მომსახურების სფეროში არა მხოლოდ მაღალი შემოსავლების, არამედ სწორედ სწავლაზე ორიენტირებული დაბალი და საშუალო შემოსავლების ოჯახებისთვის.

მუშაობის გამჭვირვალობის მექანიზმი და სწავლა/სწავლების მოღწეული შედეგები გარანტიაა იმისა, რომ სკოლა თავიდან აიცილებს მოზარდთა ფსევდო-განათლების მიღებას, რადგანაც სკოლის მთავარი სტრატეგია ჭეშმარიტ ღირებულებებს ეფუძნება. და, ის ფაქტი, რომ ევროპული კვლევების ბევრი მონაცემი მიუთითებს: "რაც უფრო მეტი მოსწავლე სწავლობს კერძო

სკოლებში, მით უკეთესი შედეგებია საჯარო სკოლებში", ჩვენი საზოგადოებისათვის, მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში ჩვენი მისიის მნიშვნელობასა და მართებულობას ადასტურებს.

სკოლისთვის მთავარი ღირებულება მოსწავლეა, მასზე მუდმივი ზრუნვა, რასაც თავდაპირველად პოზიტიური გარემოს შექმნით იწყებს, აკვირდება მოსწავლის განვითარების დინამიკას, ხელს უწყობს მისი შესაძლებლობების, ინტერესების რეალიზებას სასკოლო გარემოში, სასწავლო პროცესის მსვლელობაში ითვალისწინებს ყველა საგანმანათლებლო ასპექტს, ხელს უწყობს მოსწავლის უწყვეტი განვითარების პერსპექტივას.

SWOT ანალიზი

სკოლის 2017-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასება

გარემო ფაქტორების ანალიზი

შიდა ფაქტორების ანალიზი

ძლიერი მხარეები

- გაღრმავებული ინგლისური ენის სწავლების 29 წლიანი გამოცდილება, გერმანული ენის სადიპლომო - DSD სკოლა2012 წლიდან
- სერტიფიც. მასწავლებელთა მაღალი პროც. მაჩვენებელი
- დაყოფილი კლასები
- საგამოცდო იმიტაციების დანერგვა
- მაღალი სასკოლო კულტურა
- პროექტები, ეროვნული გამოცდების, ოლიმპიადების მაღალი შედეგები
- მასწავლებელთა სტაჟირება გერმანიაში პარტნიორული პროგრამებით
- უცხოელი მასწავლებლები, მოსწ. გაცვლითი

სუსტი მხარეები

- სკოლაში მოსწავლეთა მიღებული კონტინგენტი ს დაბალი დონე
- საათების არასაკმ. რაოდენობა ინგლისურ ენაში
- არასაკმარ. მატერ. რესურსები
- მესამე თაობის ესგ დანერგვის მიზნით დაბალი ონლაინ ჩართულობა
- უცხოური გამოც. გაზიარების სიმწირე, უცხოენოვან ი გარემოს შექმნის მცირე შესაძლებლო ბები

გარე ფაქტორების ანალიზი

შესაძლებლობე ბი

- მოსწავლეზე ორიენტირებული პროგრამები და პროექტები
- ინგლისური და გერმანულ ენების მასწ. მატ. წახალისების ზრდა
- წარჩინებული მოსწავლეების წახალისება ენის სკოლების საგზურებით
- საზოგადოების ჩართულობის, კურსდამთავრებულ თა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა
- ენების საზახულო სკოლების მოწყობა უცხ. პარტნიორებთან ერთად
- ონლაინ პლატფორმების მეტი ინტენსივობით გამოყენება სხვადასხვა საგანმანათლ. მიზნით

საფრთხეები

- უცხოელი პედაგოგების მოწვევის შესაძლებლობის სიმცირე ინგლისური ენის გაღრმავებული სწავლებისათვის;
- უცხოური პროგრამების აკრედიტაციის სირთულე, მის გარეშე კი - სახელმძღვანელოე ბის არჩევანის თავისულების შეუძლებლობა;
- ქვეყანაში კერძო სკოლების ფინანსური მხარდაჭერის არ არსებობა. დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიების გარეშე სკოლას გაუჭირდება მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სრულყოფა.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები - სკოლის საუკეთესო პრაქტიკა

1.უცხოური ენების გაძლიერებული სწავლება:

- სკოლის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს უცხო ენების გაძლიერებული სწავლება - DSD გერმანული სადიპლომო პროგრამის ფარგლებში,
- ინგლისური ენის სწავლების გაღრმავებული 29 წლიანი გამოცდილება, კვალიფიციური და მოტივირებული მასწავლებლები, რომლებიც სისტემატურად ზრუნავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებასა და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, რასაც ადასტურებს სერტიფიცირებულ მასწავლებლებელთა სოლიდური შემადგენლობა;
- სკოლაში უცხო ენების გაკვეთილებზე ხდება კლასის გაყოფა. შედეგად გერმანული და ინგლისური ენის გაკვეთილზე მოსწავლეთა რაოდენობა 8-10 მოსწავლეა;
- ინგლისური ენის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციასთან (ETAG), მონაწილეობენ რესპუბლიკურ კონფერენციებსა და ტრენინგებში, შესაძლებლობის ფარგლებში თანამშრომლობენ ამერიკის საელჩოსთან და ბრიტანეთის საბჭოსთან და ერთვებიან მათ მიერ ინიცირებულ პროექტებში;
- გერმანული ენის მასწავლებელთა საქმიანობა მნიშვნელოვანწილად იმართება და მეთოდირდება ამიერკავკასიაში გერმანული ენის სადიპლომო სკოლების - DSD პროგრამის ხელმძღვანელობის მხრიდან. ეს შეეხება მასწავლებლების შერჩევას, სტაჟირებას, მეთოდურ დახმარებას, სახელმძღვანელოების შერჩევას, მეთოდური რესურსებით მომარაგებას;
- სკოლის მასწავლებლები პარტნიორული პროგრამის ფარგლებში სტაჟირებას გადიან გერმანიაში, ქალაქ ჰაიდელბერგის ენების აკადემიის სკოლებში ჰოსპიტირების გზით;
- თვალსაჩინოდ მაღალია მოსწავლეთა შედეგები სხვადასხვა საგნობრივ ოლიმპიადებსა და სკოლისგარეშე კონკურსებში, მაღალია ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მაჩვენებლები;
- სკოლაში გერმანულენოვანი მოხალისეები თითქმის ყოველწლიურად გერმანული ენის მასწავლებელი, გერმანიის მოქალაქე, დანიშნული პროგრამის მიერ 2015 წლის სექტემბრიდან და მუშაობდა 2021 წლის სექტემბრამდე. მიმდინარე სასწავლო წელს გერმანულ ენას სკოლის მასწავლებელთან ტანდემში ასწავლის ქ-ნი ანგელა შმიდტი. თითქმის ყოველწლიურად არის განხორციელებული ენების საზახულო სკოლის პროექტი ქობულეთში, სკოლის ბაზაზე;
- თვალსაჩინოდ მაღალი მოსწავლეთა ენობრივი სამეტყველო კომპეტენცია ინგლისურ და გერმანულ ენებში;
- მაღალია გერმანული ენის სადიპლომო გამოცდების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი;
- გაზრდილია სხვადასხვა ტრენინგის, სემინარის, კონფერენციაზე დასწრებით პროფესიული განვითარების მიზნით როგორც სასკოლო ბაზაზე, ასევე სკოლის გარეთ

ავტორიტეტული საგანმანათლებლო ორგანიზაციების ბაზაზე მასწავლებელთა ჩართულობა.

2. დიფერენცირებული სწავლება :

- ხაზგასასმელია მოსწავლეთა შედეგები სხვადასხვა საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონკურსებში, ერთიანი ეროვნული გამოცდების მაჩვენებლები;
- დამამთავრებელ კლასებში საგამოცდო იმიტაციები;
- ეროვნული საგამოცდო საგნების მიმართულებების მიხედვით საათობრივი უზრუნველყოფა

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება :

- ინგლისური ენის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციასთან (ETAG), English Book Education – თან, მონაწილეობენ კონფერენციებსა და ტრენინგებში, შესაძლებლობის ფარგლებში თანამშრომლობენ ამერიკის საელჩოსთან და ბრიტანეთის საბჭოსთან და ერთვებიან მათ მიერ ინიცირებულ პროექტებში;
- გერმანული ენის მასწავლებელთა საქმიანობა მნიშვნელოვანწილად იმართება და მეთოდირდება ამიერკავკასიაში გერმანული ენის სადიპლომო სკოლების - DSD პროგრამის ხელმძღვანელობის მხრიდან. ეს შეეხება მასწავლებლების შერჩევას, სტაჟირებას, მეთოდურ დახმარებას, სახელმძღვანელოების შერჩევას, მეთოდური რესურსებით მომარაგებას. სკოლის მასწავლებლები პარტნიორული პროგრამის ფარგლებში სტაჟირებას გადიან გერმანიაში და კარლსრუესა და ჰაიდელბერგის ენების აკადემიის სკოლებში ჰოსპიტირების გზით;
- ყოველწლიურად ტარდება სასკოლო სემინარები, წახალისებულია საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა;
- სკოლას გააჩნია მდიდარი ბიბლიოთეკა უცხოურ ენებზე, ინტერნეტში ჩართული 33 კომპიუტერი, გერმანული ენის კაბინეტი აღჭურვილი ჭკვიანი ტელევიზორით და სხვა საჭირო ტექნიკით, კომპიუტერული კაბინეტი.

სუსტი მხარეები:

- დაბალია სკოლაში მოსწავლეთა ახლად მიღებული კონტინგენტის დონე როგორც პირველ კლასში, ასევე სხვა კლასებში;
- არასაკმარისი აკადემიური საათების რაოდენობა ინგლისურ ენაში (2–3 კვირეული საათი) და ამ კუთხით თავისუფლების ხარისხის სიმცირე სკოლას არაპოპულარული ნაბიჯისაკენ უბიძგებს;
- სუსტია მუშაობა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის თვალსაზრისით, მათი მოტივაციის სისუსტე და ნაკლები დაინტერესება;
- არასაკმარისია უცხოური გამოცდილების გაზიარება, რაც განპირობებულია გაცვლითი ჯგუფების სიმცირითა და მასწავლებელთა უცხოურ სკოლებში სტაჟირების ნაკლები შესაძლებლობით;

- პროფილური (გაძლერებული) სწავლების სტატუსის არარსებობა, რაც საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა სკოლიდან გადინების ერთ–ერთ უმთავრეს მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს;
- უცხოელი კვალიფიციური პედაგოგების ნაკლებობა.

შესაძლებლობები:

უცხოური ენების სწავლების პრიორიტეტად ქცევის თვალსაზრისით:

- სკოლისათვის პრიორიტეტულ საგნების გაღრმავებულად სწავლების მეთოდების დახვეწა;
- უცხოური ენების (ინგლისური) გაღრმავებული სწავლების სტატუსის მოპოვებაზე მუშაობა, IB სკოლის პროექტის მომზადება და განხორციელება;
- სკოლა კვლავაც გაითვალისწინებს და დააკმაყოფილებს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებს, მოთხოვნებსა და საჭიროებებს, განახორციელებს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროგრამებსა და პროექტებს, რაც გაზრდის ქვეყნისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობასა და ინტეგრაციის მაღალ შესაძლებლობას;
- მოსწავლეები სიღრმისეულად დაეუფლებიან უცხოური ენებს: ინგლისურსა და გერმანულს, გაეცნობიან უცხო ქვეყნების ლიტერატურას, ისტორიასა და კულტურას, მოახერხებენ თავისუფალ კომუნიკაციას;
- სასკოლო სასწავლო გეგმა სრულად უპასუხებს მოსწავლეთა გამოწვევებსა და საჭიროებებს.

სწავლა–სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიმართულებით:

- სკოლაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულთა შორის ურთიერთკავშირის, პედადოგიური და საორგანიზაციო გამოცდილების გაზიარების მეტად გააქტიურება, ახალბედა მასწვლებლებისთვის ტუტორობის პროცესის წარმართვისათვის სიღრმისეული მიდგომა;
- სასკოლო დოკუმენტაციისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოებაში ნაკლოვანებების სრულად აღმოფხვრა, ასევე მშობლებთან ელექტრონული მიმოწერის, დროული უკუკავშირის სისტემატიურობის უზრუნველყოფა;
- მასწავლებელთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება და ერთობლივი მუშაობა სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვისათვის;
- მასწავლებელთა პროფესიული ზრდა უცხოური გამოცდილების გაზიარების გზით;
- საგნობრივი კონფერენციების, კონკურსების , ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება და სხვადასხვა პროექტების მრავლად განხორციელება;
- წარჩინებულ მოსწავლეთა უფრო მეტად წახალისება, ამისათვის მატერიალური რესურსის მოძიება;
- დამატებითი საგანმანათლებლო საქმიანობა დაბალი აკადემიური მოსწრების ბავშვებთან. ზრუნვა მშობლების იურიდიული და ფსიქოლოგიური განათლების გაღრმავებაზე, მეტი აქცენტირება მათ პასუხისმგებლობაზე.

სკოლის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით:

- სასკოლო საზოგადოების, მშობელთა ჩართულობის ხარისხის ზრდა;
- სკოლის კურსდამთავრებულთა დაინტერესება და ჩართვა;
- ინვესტორების მოზიდვისა და სკოლის რეორგანიზაციის მიმდინარე პროექტების განხორციელებაზე ზრუნვა;
- კერძო სკოლების რეალური ასოციაციების, საზოგადოებების ჩამოყალიბება და მათი გამოყენება რეალური ინვესტორების მოზიდვის მიმართულებით.

საფრთხეები:

- არასაკმარისი კვირეული საათების გამო ინგლისურ ენაში სკოლა ამ ენის მოთხოვნის დონეზე სწავლებისათვის საათებს სკოლა ამატებს სხვა საგნების ხარჯზე, რაც მართალია საგრძნობლად არა, მაგრამ მაინც აზარალებს ამ საგნებს. თავისუფლების ხარისხის სიმცირე ამ მიმართებით სკოლას არაპოპულარული ნაბიჯისაკენ უბიძგებს.
  ეს საფრთხე მოწესრიგებადია კერძო სკოლების თავისუფლების ხარისხის ზრდით, რაც შესაძლებელი გახდება 2024-2025 სასწავლო წლიდან ახალი რეგულაციების შესაბამისად;
- საკუთარი სასკოლი შენობის არქონა თბილისსა და ზუგდიდიში (მიუხედავად იმისა, რომ საიჯარო ხელშეკრულებები ძალაშია 2029 წლამდე, მაგრამ განვითარება საკუთარ ჭერქვეშ უფრო რეალურია);
- კერძო სკოლის მასწავლებლებისა და თანამშრომლებისათვის უფასო საგანმანათლებლო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა;
- მოსამზადებელი კურსებისა და სემინარების/ტრენინგების მაღალი საფასური. ამჟამად სკოლის მხოლოდ გერმანული ენის მასწავლებლებს შეუძლიათ DSD - სკოლის პროგრამის ფარგლებში გაიარონ გადამზადების კურსი გერმანიაში;
- დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიების გარეშე სკოლა ვერ შეძლებს მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სრულყოფას, რაც საფრთხეს შეუქმნის ენის გაღრმავებული სწავლების პროგრამის განხორციელებას, ხოლო კერძო სკოლების შესაძლებლობები იაფი ფინანსური რესურსების მოძიებაში ძალზე სუსტია. განათლებაში კერძო სექტორის განვითარება - ზოგადად დარგის განვითარებას ნიშნავს. აქედან, და ამ სექტორის არსებობის და შენარჩუნების სურვილიდან გამომდინარე, ამ საკითხზე დაფიქრება როგორც სკოლების, ასევე სახელმწიფოს მხრიდან ამ საფრთხეს შეასუსტებდა. ეს კი, არამარტო ენების სწავლების კუთხით, არამედ სწავლების სხვა მიმართულებითაც საგრძნობელ გაუმჯობესებას განაპირობებს მომავალში. ამისათვის კერძო სკოლების რეალური ასოციაციების და საზოგადოებების არარსებობის პირობებში, კერძო სკოლების მხრიდან მათი ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა ამ საფრთხეს შესამცირებს მომავალში.

სკოლისათვის სუსტი მხარეებისა და საფრთხეების მინიმიზაცია და შესაბამისად, ძლიერი მხარეების გაძლიერება და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება გახდება მომავალი პერიოდის 2023-2029 წლების სტრატეგიული განვითარების დაგეგმვისა და მისი განხორციელების რეალური საფუძველი.

ამ ანალიზისა და სასკოლო საზოგადოების ჩაართულობით განსაზღვრულია სკოლის განვითარების ძირითადი მიმართულებები 2023-2029 წლებში.

ჯი-ელ-სის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს შემდეგი ძირითად მიზნებს და მასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტის სტრატეგიას:

სტრატეგიული მიზანი 1. მიმართულება - სწავლა-სწავლება

სტრატეგიული მიზანი 2. მიმართულება - სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

სტრატეგიული მიზანი 3. მიმართულება - ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება

სტრატეგიული მიზანი 4. მიმართულება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა

<u>სტრატეგიული მიზანი 1. მიმართულება - სწავლა-სწავლება</u>

- სკოლაში განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების გატარება ;
- სასკოლო-სასწავლო გეგმის შესაბამისობაში მოყვანა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ;
- საერთაშორისო პროგრამების/ კურიკულუმების დანერგვა/პილოტირება;
- საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე ინოვაციური მიდგომების დანერგვა; (მემორანდუმების გაფორმება, კონფერენციებზე,პარტნიორ სკოლებში/დაწესებულებებში დანერგილი პრაქტიკის შეფასება და ადაპტირება სკოლაში, უცხოენოვანი სასწავლო რესურსების მოძიება და ადაპტირება სასკოლო კურიკულუმთან)
- სწავლა- სწავლების ხარისხის მდგრადი ზრდა;
- მოსწავლის საჭიროებათა კვლევა და მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე ორიენტირება; (კითხვარები, მონაცემთა ანალიზი და მოსწავლის თვითრეალიზაციის ხელშეწყობა, მოსწავლის პორტფოლიოს სისტემის დანერგვა)
- სკოლის ღირებულებებსა და პრიორიტეტულ თემებზე ორიეტირებული, მათ შორის ინტეგრირებული ფორმატის სასკოლო პროექტების განხორციელება;
- მოსწავლეთა არაფორმალური განათლება სხვადასხვა მიმართულებებით;

- შეფასების სისტემის განვითარება (ვერიფიკაციის დანერგვა და სრულყოფა, სარეიტინგო და სადიაგნოსტიკო შეფასებების განვითარება, მოსწავლის თვითშეფასებაზე ზრუნვა);

- სკოლის მდგრადი განვითარება, ახალი პროგრამული პროექტების გაზიარება, დამუშავება, პილოტირება, დანერგვა

შესასრულებელი	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	შესრულება
სასკოლო-სასწავლო გეგმის შესაბამისობაში მოყვანა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
სწავლა- სწავლების ხარისხის მდგრადი ზრდა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
მოსწავლის საჭირ. კვლევა და მოსწავლის ინდ. პროგრესზე ორიენტირება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
მოსწავლეთა არაფორმალური განათლება სხვადასხვა მიმართულებებით	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
შეფასებ. სისტ. განვით. (ვერიფიკაცია,სარეიტინგო-სადიაგნოს. შეფასება, მოსწ. თვითშეფასებაზე ზრუნვა).		✓	✓	✓	✓	✓	✓	
ღირებულებებსა და პრიორიტეტულ თემებზე ორიენტირებულ სასკოლო პროექტების განხორც.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
საერთაშ. გამოცდილების საფუძველზე ინოვაციური პროექტების დანერგვა				✓	✓	✓	✓	
საერთაშორისო პროგრამების/ კურიკულუმების პილოტირება/დანერგვა				✓	✓	✓	✓	
Max Math, პროგრამის								

პილოტირება		✓	✓	✓	✓	✓	✓	
ზუგდიდის განყოფილების დაწყებითი საფეხურის სასკოლო ბაზის პროექტირება, პილოტირება, დანერგვა				✓	✓	✓	✓	

<u>სტრატეგიული მიზანი 2. მიმართულება - სასკოლო საზოგადოების ჩართულობა</u>

- სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- საზოგადოებისა და სკოლის ურთიერთობა, კურსდამთავრებულთა რესურსის მეტად გააქტიურება;
- მშობლებსა და სკოლას შორის პარტნიორული ურთიერთობის სრულყოფა მშობელთა კლუბის შესაძლებლობების გამოყენებით;

შესასრულებელი	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	შესრულება
სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
საზოგადოებისა და სკოლის ურთიერთობა, კურსდამთავრებულთა რესურსის მეტად გააქტიურება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
უკეთესი პროფესიული ორიენტაციისათვის საზღვარგარეთ მოღვაწე და სტუდენტი კურსდამთავრებულების რესურსის ჩართვა		✓	✓	✓	✓	✓	✓	
მშობლებსა და სკოლას შორის პარტნიორული ურთიერთობის სრულყოფა მშობელთა კლუბის შესაძლებლობების გამოყენებით	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	

მოსწავლეთა თვითმმართველობის მუდმივი ხელშეწყობა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	

<u>სტრატეგიული მიზანი 3. მიმართულება - ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება</u>

- სკოლის ორგანიზაციული კულტურის ზრდა;
- პერსონალის პროფესიული განვითარება და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- მიმდინარე და ყოველწლიური სემინარები/სამუშაო შეხვედრები სკოლის ფილიალებს შორის, კონფერენციის ორგანიზება წლის პროფესიული მიღწევების შეჯამების მიზნით ''საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა''.

შესასრულებელი	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	შესრულება
სკოლის ორგანიზაციული კულტურის ზრდა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
პერსონალის პროფესიული განვითარება და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
ყოველწლიური სემინარები/სამუშაო შეხვედრები სკოლის ფილიალებს შორის		✓	✓	✓	✓	✓	✓	
კონფერენციის ორგანიზება წლის პროფესიული მიღწევების შეჯამების მიზნით ''საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა''			✓	✓	✓	✓	✓	
სკოლის მასწავლებელთა მონაწილეობა სხვადასხვა			✓	✓	✓	✓	✓	

სემინარებში, ვორკშოპებში, კონფერენციებში საქართველოში და საზღვარგარეთ								
ჰაიდელბერგის ენების აკადემიაში ყოველწლიურ ჰოსპიტაციაში მასწავლებელთა ინტენსიურად ჩართვა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
DSD - პარტნიორი და ამ პროფილის სხვა სკოლების გამოცდილების გაზიარება			✓	✓	✓	✓	✓	
იუნესკოს მოხალისეობრივ პროექტში მაქსიმალურად ჩართვა, მოხალისეთა ყოველწლიური მოზიდვისათვის, მათ შორის ზუგდიდის განყოფილებაში	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	

<u>სტრატეგიული მიზანი 4. მიმართულება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა</u>

- სკოლის ციფრული განვითარება;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვა/გაუმჯობესება;
- სკოლის არქივის გაციფრულება;
- მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება.

შესასრულებელი	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	შესრულება
მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება ახალი ბიზნეს ერთეულების			✓	✓	✓	✓	✓	

ფორმირებით								
სკოლის ციფრული განვითარება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვა/გაუმჯობესება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
სკოლის არქივის გაციფრულება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
ჯანსაღი სასწავლო გარემოს უზრ. მიზნით ყოველწლიური რემონტი, ინვენტარისა და ტექნიკური საშუალებების განახლება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
უსაფრთხო და მდგრადი სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
სკოლის საკუთარი შენობის კონცეპტუალური პროექტის შემუშავება		✓	✓	✓	✓	✓	✓	
საკუთარი შენობის აშენებისათვის ფინანსური რესურსის უზრუნველსაყოფად: • კურსდამთავრებულთა დაინტერესება და ჩართვა; • ინვესტორების მოზიდვისა და სკოლის რეორგანიზაციის მიმდინარე პროექტების განხორციელებაზე ზრუნვა; • სკოლის რესურსის მიმართვა კონკურენტული ბიზნესპროექტების ფორმირებისა და განხორციელებისაკენ.			✓	✓	✓	✓	✓	

Georgisch fuer Auslaendische - ქართველ ემიგრანტთა შვილებისათვის საერთაშორისო ბანაკის ორგანიზება ქობულეთში			✓	✓	✓	✓	✓	
სტუდენტთა და მოსწავლეთა ჯგუფებისათვის ეკობანაკის შეთავაზება და ორგანიზება ქობულეთში, თანამშრომლობა სკოლებთან და უმაღლეს სასწავლებლებთამ			✓	✓	✓	✓	✓	